ოქმი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი

2015 წლის 27 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. გენადი ზარანდია
4. ვასილ კუკავა
5. კახა ლატარია
6. როსტევან გვარამია
7. ჯემალი ნადარაია
8. კახა მიქაბერიძე
9. მალხაზ ლაგვილავა
10. გენადი ქაძანაია

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 ოქტომბრის N04/1751 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 20 ოქტომბრის N04/1751 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების ანგარიში, სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 10239,1 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 10275,6 ათასი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 56,7%-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 1051,3 ათასი ლარი (26,3%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 5559,7 ათასი ლარიდან მიღებულია 4172,3 ათასი ლარი (75,0%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან შემოსულია 453,1 ათასი ლარი (95,2%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 203,6 ათასი ლარიდან შემოსულია 133,1 ათასი ლარი (65,4%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-სექტემბრის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 57,8% (გეგმა 10275,6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 5943,8 ათასი ლარი). მიმდინარე წლის 9 თვის შემოსულობების 100% ათვისებულია. მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია